

# საქართველო



სპორტული გაზეთი შაბათი 25 თებერვალი 2006 №42 (2664)

ფასი 50 თეთრი

## რუმინეთი კოვზი-ნაციაა, საქართველო ფონი-ერო

ღღუს

ბუქარესტში:

იბრძოლე

თუნდაც

ერთი

ნაბიჯისთვის!



FEDERAȚIA ROMÂNĂ DE RUGBY  
Vă invită la meciul

**ROMÂNIA vs. GEORGIA**

ROMANIA vs GEORGIA  
din Cupa Europeană a Națiunilor

SĂMBĂTĂ 25 FEBRUARIE  
ORA 14:00 STADION STEAUA BUCUREȘTI

intrare: 2,00 RON.  
Copii sub 14 ani și spectatori de rugby sunt scutiți de intrare gratuită.

BRD CITROËN



### TOP-ART: NO GOAL, NO END!

### საქართველოს ნაკრების გერმანული სამწვრთნელო შტაბი უცნაურად იქცევა: ორი საათი ერთ ვარჯიშს გეგმავს



ჩვენი საგანგებო აორთქლებების გიორგი ნოზაძის რეპორტაჟი და ვალენტინა

გამრი კაშილაძის ფოტო



ბოლო ხანს ქართულ ფეხბურთში, უფრო ზუსტად, უმაღლესი ლიგის გუნდებში ბევრი უცნაურობა ხდება: „ტორპედომ“, „სიონმა“ და „დილამ“ მწვრთნელები ზედ ჩემპიონატის განახლების წინ გაათავისუფლეს, „სპარტაკმა“ და „დინამომ“ გუნდის თავკაცები შუა მოსამზადებელი პერიოდისას დაითხოვეს, აგერ ახლა, ჩემპიონატის განახლებიდან ერთი ტურის შემდეგ კი ბორჯომიდან მოვიდა მწვრთნელის შეცვლის ამბავი: „ბათუმთან“ შინ ნაგების მერე „ბორჯომის“ მწვრთნელი სოსო ფრუიძე მოხსნეს და მის ნაცვლად გუნდი ვლადიმერ ხაჩიძეს ჩააბარეს, რომელიც პირველ წრეში „დილაში“ მუშაობდა...



ბორჯომიდან მოვიდა მწვრთნელის შეცვლის ამბავი

## ბორჯომს თავი მოხსნეს ფრუიძეს ხაჩიძე გააბრძოლებს

— რა გაეწყობა, ასეთია მწვრთნელის საქმე, „ბათუმთან“ წაგების შემდეგ ბორჯომის გამგეობამ ჩემი გაათავისუფლება გადაწყვიტა. ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია — გვითხრა გუმინ „ბორჯომის“ აწ ყოფილმა თავკაცმა სოსო ფრუიძემ.

— გაათავისუფლების მიზეზი მხოლოდ ამ ერთი მატჩის წაგება იყო?

— ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება სწორედ „ბათუმთან“ მატჩის შემდეგ მიიღეს.

— ალბათ, ორიოდ დღის წინ თასის მეოთხედფინალში „სიონთან“ წაგებაც გაიხსენეს...

— კი, მაგრამ „სიონთან“ მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ „ბორჯომმა“, რომელიც იქამდე მძლეოსნობის მანქანა და ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მინდორზე ვარჯიშობდა, პირველი მატჩი ჩაატარა და ატალახებულ მოედანზე საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინა. „ბათუმთან“ კი წასაგები თამაში ნამდვილად არ გვქონდა, ანგარიში მატჩის საერთო სურათს არ ასახავს — „ბორჯომმა“ მეტოქე აშკარად დაჯახა და ეს ხარისხიანი თამაშის ხარჯზე გააკეთა, თუმცა ვოლი ვერაფრით გავიტანეთ.

— ანუ მემკვიდრეს კარგად მომზადებულ გუნდს უტოვებთ...

— ნამდვილად ასეა. განსაკუთრებით კარგად კი „ბორჯომში“ ფიზიკურადაა მომზადებული, რასაც

რამდენიმე მატჩის შემდეგ ყველა დაინახავს.

— ამ გუნდს დიდი პოტენცია აქვს და როცა ფეხბურთელები უკეთ შეთამაშდებიან, „ბორჯომთან“ ყველა მეტოქეს გაუჭირდება. აი, ნახავთ, ეს გუნდი ფიზიკური მომზადებით საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული იქნება. დანარჩენზე კი უკვე ვერაფერს გეტყვით, „ბორჯომს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და სათამაშო სტრატეგიაზე ის უკეთ ვიპასუხებთ.

— თქვენ რას აპირებთ?

— შინ მივდივარ. ოჯახს მოწყვეტილი ვიყავი და ცოტა ხანს დავისვენებ. მერე კი ენახოთ...

კობა ინასარიძე

## სიონში დემობრაფია ისვლება ბოლნისი ვიზიტს და ფურცლებს ელის



ლევან სილაგაძე კახა ცხადაძის „სიონში“ ითამაშებს

ბოლნისის „სიონში“ კიდევ რამდენიმე სატრანსფერო სიახლეა გუნდმა, რომელმაც ერთი კვირის წინ მწვრთნელი შეცვალა, ხეივან ქასრაშვილის ნაცვლად კახა ცხადაძე და-

ნიშნა და უკვე ორი მატჩი მოგებაც შეძლო, უახლოეს დღეებში შემადგენლობის გაძლიერებასაც აპირებს. „სიონმა“ ერთი უკრაინელი, ევგენი ლაშჩუკი ხომ შეიმატა და ახლა

მეორესაც ელის — დონეცკის „შახტარი 2“-ის ყოფილი ფეხბურთელი ანატოლი გურბინკო ბოლნისელებს დღე-დღეზე ჩამოაკითხავს. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „სიონი“ დაიმტკიცოს ორ გამოცდილ ცენტრალურ მცველსაც — დავით ჭიჭვიეშვილი და ლევან სილაგაძე ქომავთათვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელები არიან და მათთან მოლაპარაკებები კლუბს თითქმის მომთაგრებული აქვს. „სიონი“ ახლა ყაზახეთიდან ჭიჭვიეშვილის გაათავისუფლების ფურცელს ელის, სილაგაძე კი უკვე რა ხანია, უგუნდოდა და საჩემპიონატო განაცხადში მისი შეყვანაც პრობლემა არ უნდა იყოს, თუმცა ისიცაა, რომ ლევანს ტრავმა აწუხებს.

დღესდღეობით ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობა სამი კამერუნელი ფეხბურთელისთვის საქართველოს ვიზების გაკეთებაზე მუშაობს და მალე, ალბათ, ისინიც სიონელები გახდებიან.

მოკლედ, ბოლნისის „სიონმა“ ჩემპიონატის მეორე წრეში შესაძლოა ერთბაშად შვიდი ახალი ფეხბურთელით ითამაშოს...

ლუკა თალაგაძე

## პროფლიგამ ბებები გამოიწინა საქართველოს თასის ფინალიდან მუნდიალზე?

თქმა რად უნდა, ქართველ გულშემატკივრებს ბოლო ხანს ევროფეხბურთის ტელევიზიით ნახვის მწირი არჩევანი აქვთ. ქომავებისთვის ძალიან აქტუალური გახდა თემა — როდის ჩაირთვება „ნტვ ფუტბოლი“ და... პირველი ქართული საფეხბურთო არხი? რუსული არხი საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგას არ ეხება. აი, ქართული არხის შექმნის ალბათობაზე და სხვადასხვა საკითხებზე კი გუმინ პროფლიგის გენმდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ და პრესატაშე პაატა ბურჯალიანმა პრესკონფერენციაზე ისაუბრეს...

„როგორც იცით, „აიტი TV“ პროფლიგის ოფიციალური სპონსორი გახდა, ჩვენ გვაქვს მათთან მოლაპარაკება, რომ საფეხბურთო არხი შეიქმნას, თუმცა ეს ჯერ ჩანასახის დონეზეა. დაახლოებით სეზონის ბოლოს გვეცოდინება, გამოვა თუ არა ეს ვარიანტი“ — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ მიმდინარე სეზონში „ბათუმის“ შეიდევესაშინაო მატჩს ტელეკომპანია „აჭარა“ პირდაპირ ეთერში გადასცემს. პროფლიგა იმედოვნებს, რომ „აჭარასთან“ შეთანხმება მომავალშიც გაგრძელდება.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ლატარიის გათამაშებას: ეს პროექტი პირველად 13 მაისს თასის ფინალზე განხორციელდება და შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის ორი საგზურიც გათამაშდეს. როგორც ლორთქიფანიძემ გვითხრა, ეს ტექნიკურ მხარეზე დამოკიდებული — კერძოდ, შესაძლოა, ფიფამ 13 მაისამდე მოითხოვოს მუნდიალზე დასასწრები პირების სია.


„გათამაშდება თუ არა საგზურები, ეს საქართველოს თასის ფინალამდე ათი დღით ადრე გვეცოდინება. ეს ჩვენი ერთ-ერთი სპონსორის „მაკონალდსის“ მეშვეობით მოხდება, რომელთანაც უკვე გაფორმდა ხელშეკრულება. მალე სხვა სპონსორების ვინაობაც გახდება ცნობილი“ — ამბობს ლორთქიფანიძე.

პროფლიგის გენმდივანს 16-გუნდიანი ჩემპიონატის მართებულობაზე შევეკითხეთ:

„ჩემი აზრით, 16-გუნდიანობამ ვერ გაამართლა, ძალიან დიდია გუნდების ქულეებს შორის სხვაობა. ეგაა, ჩემპიონობისთვის და არგაგარდნისთვის ბრძოლა დაძაბული იქნება. უმაღლესი ლიგის ფორმატის შეცვლა კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს“.

პრესკონფერენციაზე ისეთ აქტუალურ თემასაც შევეხეთ, რომელსაც კლუბების ლიცენზირება ჰქვია. რევაზ ლორთქიფანიძემ შემოგჭივლა, შესაძლოა, 2008 წლიდან სულაც რეგულაციები ჩემპიონატი ჩავატაროთ, ან საერთოდ თავზე დაგვექცეს ჩემპიონატი.

„მოგეხსენებათ, უფასო მოთხოვნით, 2008-2009 წლების სეზონისთვის ყველა ქვეყნის უმაღლესი ლიგის ლიცენზია უნდა ჰქონდეს.“



რევაზ ლორთქიფანიძე

2007 წლის ბოლომდე ეს საქმე უნდა მოვასწროთ, თუმცა დიდი პრობლემების წინაშე დავდგებით — კლუბებს ძალიან უჭირთ“.

ილია ნანობაშვილი

საპროფლიგოს	17	ჩემპიონატი
მეორე	17	წრე

XVIII ტური, დღეს	
ზესტაფონი-2	— მეშახტე
ლიახვი	— ჩიხურა
ზუგდიდი	— ამერი-2
დინამო-2	— ლოკომოტივი-2
საგარეჯო	— მალაროელი
თბილისი-2	— გურია
ვიტ ჯორჯია-2	— რუსთავი
გაგრა	— მერანი
მეშახტე	— მესხეთი
ჩიხურა	17 13 2 2 52:20 41
მერანი	17 12 3 2 28:10 39
ამერი-2	17 10 2 5 25:14 32
გაგრა	17 9 5 3 24:13 32
დინამო-2	17 9 4 4 27:11 31
მეშახტე	17 9 3 5 28:16 30
რუსთავი	17 8 4 5 28:19 28
გურია	17 7 4 6 27:20 25
მესხეთი	17 7 4 6 23:20 25
მეშახტე	17 6 6 5 19:12 24
საგარეჯო	17 6 3 8 16:17 21
ვიტ ჯორჯია-2	17 5 4 8 14:20 19
ზუგდიდი	17 5 4 8 8:16 19
ლოკომოტივი-2	17 5 1 11 14:33 16
თბილისი-2	17 4 4 9 18:30 16
ზესტაფონი-2	17 5 0 12 14:33 15
ლიახვი	17 3 0 14 15:46 9
მალაროელი	17 2 3 12 11:40 9





საქართველოს პროფესიონალი ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა  
მეორე ტურა

## 16 ტური მიმოხილვა

### დინამოტი გალა უნდა აფეთქდეს ტოპმიოლერმა კი ჯერ სხვებს უყურა



ტურის ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანი მატჩი: ამერი — ტორპედო 5:1

ალექსი ბენაშვილი და გიორგი ჭე-ლიძე შეაქო.

მეორე წრისთვის მნიშვნელოვნად მოდონიერდა „ბათუმი“, რომელმაც „ლოკომოტივიდან“ რამდენიმე გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაიბირა; აჭარელებს ახალწვეული „ბორჯომიდანაც“ ჰყავთ და სწორედ ექსპორტოქელმა რევავ ჯიქიამ გაუტანა გამარჯვების გოლი „ბორჯომს“.

ტურის ერთ-ერთ ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა გლდანში გაიმართა. ქუთაისის „ტორპედო“ „ამერიდან“ დავით ჯანაშიას პენალტით დაწინაურდა, მაგრამ მერე თავი ტორპედოელთა არასრულფასოვანმა ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა და „ამერიმაც“ მეტოქეს ბლღვირი აღინა.

„დინამოდან“ დათხოვნილმა კანა ცხადამ ბოლნისის „სიონი“ მეორე წრის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ჩაიბარა. „სიონი“ „დინამოს“ სამი ქულით უსწრებს და ცხადისთვის ასეთი ბალანსის შენარჩუნება თუ გაზრდა, დიდი გამოწვევა უნდა იყოს. ბოლნისური კლუბის ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტება გრძელდება და თუ ისინი კიდევ უფრო გაძლიერდებიან, რა თქმა უნდა, ინტრიგაც გაიზრდება.

როგორც უნდა იყოს, საშუასეზონო შესვენების შემდეგ ნათამაშევი პირველი ტური ვითარების ოდენ შედაპირულად მიმოხილვის საშუალებას იძლევა. ზოგადად კი, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს ძნელად მიმოსახილავი ზნე არ სჭირს — ნოვატორული და განსაკუთრებული ჯერ არაფერი ხდება.

#### დავით თაგართქილაძე

ვიტ ჯორჯია	16	12	3	1	36:10	39
სიონი	16	12	2	2	32:12	38
დინამო	16	11	2	3	26:7	35
ლოკომოტივი	16	10	3	3	26:10	33
ამერი	16	10	2	4	20:10	32
ბორჯომი	16	10	0	6	29:16	30
ზესტაფონი	16	9	3	4	20:12	30
ბათუმი	16	7	4	5	14:12	25
კოლხეთი	16	7	1	8	16:20	22
დილა	16	5	1	10	21:25	16
კახეთი	16	5	1	10	14:26	16
ცხინვალი	16	4	3	9	14:29	15
ტორპედო	16	3	4	9	11:22	13
სოხუმი	16	3	1	12	17:40	10
სპარტაკი	16	2	2	12	4:28	8
თბილისი	16	1	2	13	9:30	5

მომავალი ტური	
4 მარტი, შაბათი	
კახეთი - ცხინვალი	
სოხუმი - ვიტ ჯორჯია	
კოლხეთი - ბორჯომი	
ბათუმი - სპარტაკი	
დილა - სიონი	
ლოკომოტივი - ტორპედო	
თბილისი - დინამო	
ზესტაფონი - ამერი	

ნაგუნდელებთან ჯერ შეთანხმებული არ არის — მას ხომ „ვიტ ჯორჯიაში“ შეკრებაც არ გაუვლიდა...

თბილისის „დინამოს“ ახალმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა საქართველოს ჩემპიონატში თავისი დებიუტი კინალამ ჩააფლავა — დინამოელებმა თელავის „კახეთი“ მწვეწმამდე ვერ გატყვევეს, მერე კი კობა კობაიძის ავტოგოლით იხე-

რეს. რუსი მწვრთნელის თქმით, „დინამოს“ კიდევ ორი-სამი მატჩი სჭირდება ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად.

„რა როგორ იქნება „ზესტაფონში“? კლუბის პრეზიდენტ ილია კოკიას საწარმო „ფეროში“ პრობლემები შეექმნა და ჯერ მოლად მკაფიო არაა „ზესტაფონის“ მომავალი. პოტენციურად კი გუნდი მზარდი ჩანს და, რომ არა პირველ

წრეში დაკარგული ქულები, ალბათ, მეორე წრიდან საჩემპიონო რბოლაშიც ჩაებმებოდა.

„ზესტაფონს“ აუტსაიდერ „თბილისის“ სტუმრად დაჯაბენა გაუძნელდა, თუმცა „თბილისი“ პირველი წრის „თბილისი“ როდია, გაცილებით უკეთესი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. შეხვედრას თვით კლასუს ტოპმიოლერი დაესწრო და ნამატჩევს ორი ზესტაფონელი,

სიმბოლოური ნაპრბები	მთავარი მატჩები	დავით სივასტოპოლი
კობა ვიკარაძე (სიონი)	ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი)	გიორგი დოლიძე (ამერი)
დავით ივადაშვილი (ვიტ ჯორჯია)	გიორგი ავახანიანი (ამერი)	გიორგი ავახანიანი (ამერი)
გუნდი: ბათუმი	ალექსანდრა კვანცია (ვიტ ჯორჯია)	გიორგი სითურიძე (ბათუმი)
	გიორგი ცინაძე (კახეთი)	
	მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასტრება	საშუალო ბალი
„ამერი“ თბილისი	ამერი 5:1 ტორპედო	6,0	8,0	8,0	7,3
„ჯაბალ ზაინალიშვილი“ ბორჯომი	ბორჯომი 0:1 ბათუმი	7,0	6,0	9,0	7,3
„ეროვნული“ თბილისი	დინამო 1:0 კახეთი	6,0	7,0	7,0	6,6
„ოლიმპი“ თბილისი	ზესტაფონი 2:1 თბილისი	6,5	6,5	6,5	6,5
„თამაზ სტაფანია“ ბოლნისი	სიონი 4:0 ლოკომოტივი	6,0	7,0	5,0	6,0
„შვარდანი“ თბილისი	სპარტაკი 1:0 დილა	6,0	5,5	3,5	5,0
„არმაზი“ მცხეთა	ვიტ ჯორჯია 3:0 კოლხეთი	5,5	6,0	3,0	4,8
„ქართლი“ გორი	ცხინვალი 4:3 სოხუმი	5,0	5,0	1,0	3,6

# შტურმის შოკმა შეუტია

## დავით მუჯირი სასამართლოს და ახალ კლუბს ელის

— სამწუხაროა, რომ კლუბს, რომელსაც პატივს ვცემ და სადაც თამაში მიხაროდა, ასე ვშორდები — გვითხრა დავით მუჯირმა, რომელსაც ავსტრიაში დაუკავშირდით — „შტურმმა“ სხვა გამოსავალი არ დამიტოვა.

— ავსტრიული გაზეთები წერენ, რომ 16 თვე უხელფასოდ თამაშობდი...

— ასეც არ იყო. რა თქმა უნდა, თანხის გარკვეულ ნაწილს მიხდიდნენ, მაგრამ შემცირებულს. 2004 წლის ნოემბრიდან დაუგროვდათ დავლიანება და 2005-ის ნოემბერში უნდა გადაეხადათ. მას შემდეგ სულ დაპირებები მესმის და მოთმინების ფაილა ამეცსო.

— „შტურმს“ როდემდე აქვს დავალიანების დაფარვის ვადა?

— 20 თებერვალს ადვოკატი დაიქირავე და ვინივლე. კანონის მიხედვით, 27 თებერვლამდე უნდა გადაიხადონ, მაგრამ არა მგონია, ასე გააკეთონ და საქმე ავტომატურად სასამართლოს გადაეცემა.

— უცნაურია, რატომ მოგექცა „შტურმი“ ასე? მით უმეტეს, გუნდის ლიდერი ხარ და რა ხეირს მისცემს შენი დაკარგვა?

— ყველაფერი შარშან დაიწყო. „შტურმი“ სერიოზულ ტრანსფერებს აპირებდა, ფული აკლდებოდა და კლუბის ინტერესების გამო, ხელფასის ნაწილზე დროებით უარი ვთქვი. „შტურმი“ ჩემთვის უბრალო გუნდი არაა, ძლიერ ფეხბურთელებთან ერთად თამაში მიხდოდა და დათმობაზე წავიყვ, მაგრამ მას შემდეგ გამაწამეს. ახლა ვაკვივ, რომ ერთ ჩემს თანაგუნდელსაც ასა-

დავით მუჯირის შტურმულ ამბებზე გუშინაც ვწერდით.

ავსტრიული გაზეთები აჭრელებულია ამ ცნობით

— მართლაც იშვიათი ამბავია, დანყობილ-დალაგებული ქვეყნის კლუბი ფეხბურთელს, თანაც გუნდის ლიდერს, ხელფასს არ უხდიდეს და დღესხვალეობით ატყუებდეს. შეგახსენებთ: „შტურმს“ მუჯირისა 2004 წლის ნოემბრიდან

მართებს, რის გამოც ჩვენიანმა ადვოკატი დაიქირავა და კლუბს უჩივლა, ხოლო თუ „შტურმს“ რეაქცია არ ექნება, მაშინ საქმე სასამართლომდე მივა...

ლები ჰქონია თანხა და რაღაც ნაწილი გადაუხდიათ.

— რუსეთ-უკრაინის გარდა თითქმის ყველა ქვეყანაში დაიხურა სატრანსფერო ფანჯარა და რას აპირებ?

— იყო შანსი და თავად „შტურმმა“ მთხოვა, რომ დაგრჩენილიყავი, თუმცა ახლა ჩემთვის წარმოუდგენელია იმ კლუბში თამაში, რომელსაც ვუჩივი — არა მგონია, ეს ნორმალური იყოს. რა თქმა უნდა,



ჩემი მენეჯერი საქმის კურსშია და ცდილობს, სასწრაფოდ გამოძინახოს ახალი კლუბი.

— რუსულ გუნდში გადასვლის ვარიანტი გქონდა...

— იანვარში მართლა მქონდა მიწვევები რუსეთიდან, მაგრამ მაშინ არ წავიდე, ახლა კი წინადადება არსაიდან ადარ მიმიღია. შესაძლოა, სეზონის ბოლომდე უთამაშებელიც დავრჩე. ასეც რომ მოხდეს, ვფიქრობ, ზაფხულში მაინც არ გამო-

ჭირდება ნორმალური კლუბის მოძიება.

— ავსტრიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა შენს ამბავს. „შტურმის“ მწვრთნელი მიხაილ პეტროვიჩი ამბობს, მუჯირის დაკარგვა ჩვენთვის შოკია...

— სამწუხაროდ, სხვათადასრული კუდიც გამოაბეს ამ ამბავს. 20 თებერვალს რომ ვინივლე, გაზეთებში დაიწერა, მუჯირი ორიოდ დღეში რუსეთში მიდის და „შტურმთან“

უთანხმოებაც ამიტომ გამოიგონაო. ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ინტერვიუებში არ დამიწყია, რადგან ისევე უგუნდოდ ვარ. მწვრთნელი, ფეხბურთელები და თავად პრეზიდენტი კარტინიციც დაღონებულნი არიან, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გამოკლება ვისთვისაა სასიამოვნო?! კარტინიციცა ბოლო დღეებში ბევრჯერ დამირეკა, დარჩი და ფულს მიიღებო, მაგრამ მას აქამდეც შეეძლო ამის გაკეთება. თავს არ ვიქებ, მაგრამ რაც „შტურმში“ ვთამაშობ, ჩემზე თითქმის არაფერი დაუწერიათ კრიტიკული, ყველა თბილად მექცეოდა, მწვრთნელი გუნდის აშკარა ლიდერად მივიღია. სხვათა შორის, წინა ტურში „გრაჯერთან“ არც უნდა მეთამაშა, მაგრამ დერბის აქ სხვა მულაში აქვს — „შტურმის“ გულშემატკივრებისთვის ცალკე ავსტრიული ბუნდესლიგა და ცალკე „გრაჯერთან“ თამაში. ჩემპიონიც რომ ვახდებ, „გრაჯერთან“ თუ ოთხი თამაშიდან ერთი მაინც ვერ მოვივ, ქომაგები არ გააბატონებენ.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვით: მალე მალტის საერთაშორისო ტურნირი იწყება და ალბათ სხვანაირად ელი ამ მატჩებს — კლავს ტოპშილეერის ფაქტორს ვგულისხმობ...

— რა თქმა უნდა. ჩემი შეფასება რად უნდა, რომ ტოპშილეერი უმაღლესი დონის მწვრთნელია. იმეღია, შედეგიც გვექნება. მართალია, ორი დღეა, გუნდთან ერთად არ მივარჯიშია, მაგრამ ფორმას არ ვუჩივი.

ილია ნანოზაშვილი

# სამი ქართველი სამი უსაანელოს წინააღმდეგ

## გამარჯვებული მხოლოდ კობიაშვილია



ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ) ერთადერთი ქართველია, უფასო თასს რომ შემორჩა

**უეფას** თასის მერვედფინალში მხოლოდ ერთი ჩვენებური, ლევან კობიაშვილი ითამაშებს, ხოლო შოთა არველაძის „ალკმარს“ და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს“ მეთექვსმეტეფინალში სვეილიურ გუნდებთან მოეცარათ ხელი.

გელზენკირხენის „შალკემ“ ესპანურ „ესპანიოლს“ ჯერ შინ მოუგო 2:1, გუშინწინ კი სტუმრად გაა-ცამტკერა — გერმანელებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს „ესპანიოლს“.

ლევან კობიაშვილს არც ერთ სა-

გოლე კომბინაციაში არ მიუძღვის წვლილი, მაგრამ ისიცაა, რომ „შალკეს“ დამრიგებელმა მიროსლავ კლემიჩიჩმა ჩვენებური დაცვაში ათამაშა და „ხუმარათ“ დაცვას „ესპანიოლმა“ ბუზიც ვერ აუფრინა — ერთი ეგ იყო, ესპანელთა მცხოვანმა ვარსკვლავმა ივან ლე ლა პენიამ სახიფათო ჯარიმა დაარტყა და „შალკეს“ მეკარე ფრანკ როსტმა იმარჯვა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ „სვეილიას“ ტოლსწორად ეთამაშა, მაგრამ ესპანელებმა საგოლე მომენტებიდან თითქმის მაქსიმუმში გამოწურეს. „სვეილია“ იტალიელმა ფორვარდმა ვინჩენცო მარესკამ დააწინაურა — ოცდარი მეტრიდან ალექსეი პოლიაკოვის კარის ცხრიანში გაგზავნა ბურთი.

მოსკოველთაგან დმეტრი ლოსკოვსა და ალექსანდრ სამელოვს შეეძლოთ გაეტანათ, მაგრამ სვეილიელთა მეკარე ანტონიო ნოტარიოს ვერ აჯობეს, მატჩის მიწურულს კი „ლოკომოტივს“ ანტონიო პუერტამ თავურით გაუტანა — 2:0.

ნამატჩევს რუსთა სერბმა დამრიგებელმა სლავოლიუბ მუსლინმა თქვა, თავდამსხმელის პოზიციას ვევიჭირს და „სვეილიასთან“ მარცხი ამან მნიშვნელოვნად განაპირობაო. მუსლინის „ლოკომოტივმა“ ახლანახან მიხეილ აშვეთია დაითხოვა,

ხოლო 19 წლის გიორგი ჭვლიძე საუფასოსაგან განაცხადში არ შეიყვანა — სერბი ქართველი ფორვარდების ნაცვლად სხვებს ენდოდა ჩაფლავების შემდეგ მაინც შემტევებზე დაიჩივლა.

ალკმარში დრამატული მატჩი გაიმართა — ჰოლანდიელებმა „ბეტისის“ 0:2 ამოუქანეს, მაგრამ ოვერტიმში დაიჯახნენ.

პირველ ტაიმში „ალკმარის“ კაპიტანმა დენი ლანდამატმა არველაძის მიერ მონაგრებული პენალტი გააცუდა. შოთას პირველი საგოლე შანსი 25-ე წუთზე ჰქონდა, თუმცა არაზუსტად დაარტყა, წუთში კი კენეტ პერესის პას აუღებელი ცაცია მიიყვალა და „ალკმარიც“ დაწინაურდა. მალე პერესმა კიდევ ერთი საგოლე პასი გაახერხა — მისი ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ ალკმარელთა მცველმა კოუ ჯალენსმა მეორედ დაამწურა „ბეტისი“.

არველაძის „ბეტისთან“ თამაში სათუო იყო, შოთას მარცხენა მუხლი ჰქონდა შესიებული, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა...

ჰოლანდიის ჩემპიონატში მესამეადგილოსან „ალკმარს“ ზვალაც ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის — ლიდერს ჰს-ს მასპინძლობს — ალკმარელები ხომ მხოლოდ ჰოლანდიურ ფრონტს შემორჩნენ.

დავით თავართქილაძე

# კვირკველია ზაპოროჟეს მოაჯდა

დავით კვირკველია და ზაპოროჟეს „მეტალურგის“ ხელმძღვანელობა გუშინ ანთალიაში კონტრაქტის პირობებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ — ქართველი ნახევარმცველი უკრაინულ გუნდში სეზონის ბოლომდე ითამაშებს, ურთიერთობის გაგრძელებაზე კი ფეხბურთელი და კლუბი მოგვიანებით დაილაპარაკებენ. „მეტალურგმა“ კვირკველია ვლადიკავკაზის „ალანიადან“ სწორედ ზაფხულამდე ინათხოვრა.

25 წლის დავით კვირკველია ზაპოროჟეს „მეტალურგისთვის“ მეორე ქართველი იქნება — მას გუნდში თავდამსხმელი ირაკლი მოღებაძე დახვდა, რომელმაც ტრავმა ახლანახან მოიშუშა და „მეტალურგს“ ანთალიურ შეკრებაზეც გაჰყვა.

ამ ზამთარში კი კვირკველია უკვე მესამე ფეხბურთელია, ვინც კარიერას უკრაინის უმაღლეს დივიზიონში გააგრძელებს. ოთარ მარცვალიაძე კიევის „დინამოში“, ფაქტობრივად, გადასულია, ხოლო ჯაბა კანკავა უკვე „არსენალშია“. კიევის „დინამოს“ დუბლებში ვარჯიშობს კახა ალადაშვილი და, როგორც ამბობენ, კონტრაქტთან ისიც ახლოსაა.

კობა ინასარიძე



„ბარსელონასთან“ წაგებით სასათაფანჯლო იქონი... „პორტსმუთის“ მასპინძლობა ფოზე მურინიუსს გუნდი ბოლოს წინა ადგილზე მყოფ მუტიოქსთან მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს.

# ინგლისი ტერიარ ტირის

ჩვენ მოსაგებად ვითამაშებთ. ჩემპიონთა ლიგაში საქმე გავირთულით, მაგრამ ახლა პრემიერ-ლიგას უნდა მივხედოთ და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობთ — თქვა „ბარსელონასთან“ საკუთარ კარში გოლის გამტანმა ჯონ ტერიმ. „პორტსმუთის“ მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი: „ბიჭებს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წაგებული მატჩი გავახსენე. მაშინ მეორე ტაიმში ბევრი მომენტები შევქმენით და თუ ახლა საგოლე მომენტებს გამოვიყენებთ ფიქრობ, ქულის მოპოვების შანსი მაინც გვექნება.“

„რენაიტედს“ უკვე 3 ქულით ჩამორჩება და მერსისაიდელს მთელი ადგილები გადასვლა სურს. ტრაუმა მოიშუშა სტივენ ჯერარდმა და „ლივერპულის“ კაპიტანი ალათი ძირითად შემადგენლობაში იქნება. ვერ ითამაშებენ მოჰამედ სოსო და ჯეიმი კარაგერი, თუმცა „ინფილდის“ ბინდარო იოლი მატჩი ნამდვილად არ უკლით, რადგან სიტუაციები უფროსად თანხა გამსვენელი ადგილისთვის იბრძვიან. მადრიდში „რეალის“ ძლიერ ფრთაშესხმული „არსენალი“ „ბლექბერნს“ სტუმრობს. გუნდებს შორის სხვაობა ამჟამად ოდენ ერთი ქულა და თუ ლიგისეგვილს ოთხეულში მოხვედრა

XXVII ტური
დღეს
ბირმიუნგემი : არსენალი
გლაცგოგონი : არსენალი
ნარსტონი : ასტონ ვილა
ნაუსი : პორტსმუთი
ნოსახალი : კვირტონი
სვალ
ლიზკარსონი : სიტი
პოლტონი : ვულვანი
მოსტ გროგონი : გილსბრო

სურთ, ეს პრინციპული მატჩი უნდა მოვიგოთ. „მადრიდელებთან“ ბრწყინვალედ ვითამაშეთ და იგივე უნდა გავაკეთოთ ბლექბერნში. განწყობა ყველას საბრძოლო გვაქვს, ქულები ისე დაე ბევრი დავკარგოთ და დღეს გამარჯვება გვმართებს“ — აღნიშნა „მეთიოფების“ მცველმა კოლო ტურემ.

გიორგი კაკაბაძე

Table with 21 columns (№, 1-20, მ, მ, მ, მ, მ) and 20 rows (1-20). Contains football match results and scores.



სათასო სარაგოსა — ბარსელონა მასპინძლობდა 4:2 მოიგეს

პრიმერას გრანდებმა საჩემპიონთალიგო ომები დროებით მოილიეს და ისევ შინაურ ჩემპიონატს დაუბრუნდნენ, თუმცა სად „ბარსელონას“ განწყობა და სად „რეალისა“. თუ კატალონიელები ლონდონში „ჩელისისთან“ მოგებით სინარულისგან მეტხზე ცაზე არიან, მადრიდელებს შინ „არსენალთან“ მარცხი გულს უღრღინეთ. „ბარსა“ დღეს „ლა რომა-

# ესპანეთი ბრანდოტეალი სიუჟიდე იქნება

რედაზე“ იქურ „სარაგოსას“ ეთამაშება. ვაეხსენოთ, რომ ვიქტორ მუნოსის „სარაგოსა“ კოპა დელ რეის ნახევარფინალიდან „რეალი“ გამოავლო, ხოლო იქამდე მოთხედფინალიდან — „ბარსელონა“. მუნოსის ბიჭებმა ბოლო ხუთი თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგეს და ცხრილში ცხრილში მეთუ ადგილებზე გადავიდა. დიეგო მილიტოც ფორმამა — არაგონელთა ყველაზე მრისხანე იარალი — და კატალონიელ მცველებსაც სხვებზე მეტად მისი შებოჭვა მართობთ. „ბარსელონას“ ხსენებული სათასო ენდეტა აძობრავებს — მაშინ კოპა დელ რეიზე ფრანკრაიკარდის გუნდს მეგოლე ეტოლო არ ჰყავდა, დღეს კი კამერუნელი ყველაფერს გააკეთებს მეტოქეების ასაწიოკებლად. მადრიდის „რეალი“ კვირას პრიმერას ერთ-ერთ მჩანჩალას, „მალიორკას“ ხვდება. სამეფო გუნდმა კოპა დელ რეის მოპოვების შანსი უკვე დაკარგა, ჩემპიონთა ლიგაც ნელნელა ეცდება ხელიდან და, ცხადია, ლიპეს

კაროს ბიჭები ახლა მთლიანად პრიმერადივიზიონზე არიან გადართული. „რეალი“ იცის, რა მოხდება, „მალიორკასთანაც“ თუ „რეალი“ ვერ მოიგებს, მადრიდელები ინჩადის რისხვა საშინელი იქნება“ — ვკითხულობთ გუმინდელ „მარკაში“. „რეალს“ ტრავმირებული ვუდგეიტი დააკლდება, ხოლო „მალიორკა“ დაჯარიმებულ პერიერას, ტუსიოს და პოტენსას მოისაკლისებს. წინა ტურში „სოსიედათან“ გამარჯვების მერე „ვალენსია“ ლიდერ „ბარსელონას“ მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩება. „ლაპურები“ ხვალ „ხეტაფეს“ ეთამაშებიან, ანუ „ვალენსიას“ მწვრთნელ კიკე ფლორესს „მესტალიაზე“ თავის ძველ გუნდთან უწევს შეჯახება. ვალენსიელთა მარჩენამ ტრავმა მოიჩინა, თუმცა რუფეტეს ისევ მუხლი აწუხებს და მისი ბურთობა საეჭვოა. „ხეტაფეს“ სელესტინი და რიკი ტრავმირებული არიან. ნაკარიულ „ელ სადარზე“ ადგილობრივი „ოსასუნა“ და ცხრილში მერვეადგილოსანი

XXV ტური
დღეს
სარაგოსა : ბარსელონა
ატლემპიკი : მალაგა
სვალ
ვალენსია : ხეტაფე
ვატისი : სოსიედალი
სელა : კაოსი
მსანდოლი : სევილია
გილგარო : ვილიარეალსი
ალაგონი : რასინგო
გალიორკა : რეალი
ოსასუნა : ვალიორტისი

„დებორტისი“ შეეტოქებიან. მასპინძლებს ხავეერ ფლანიო დააკლდებათ დისკალიფიკაციის გამო, სტუმრებს — ასევე დასჯილი კოლოჩინი. „ოსასუნა“ საჩემპიონთალიგო, მეთიხე ადგილს კბილებით დაიცავს, „დებორის“ მიზანი კი უფაზე მოხვედრაა. „ატლემპიკის“ „მალიორკასთან“ თამაში დაჯარიმებული იბავასას გარეშე უწევს, „ბილიბაო“ კი „ვილიარეალს“ ხსენებული მიხეზით ამორებიეტას და პრეტოს ვერ დაახვედრებს. „ვილიარეალს“ „სან მამესზე“ მანუელ პელეგრინის თანაშემწეები წაუძღვებიან — მწვრთნელი ცოლის ავადმყოფობის გამო ლიგის მატჩის მერეც გლაზგოში დარჩა.

ლადო ხოშბიკი

Table with 21 columns (№, 1-20, მ, მ, მ, მ, მ) and 20 rows (1-20). Contains football match results and scores.













Table with columns for time, program name, and ratings (1, X, 2, I-X, I-2, X-2). Includes programs like 'გუბუკე-ანტენური', 'ოსტენდი-უდასლანდი', and 'პოლიანდია. I დივზიონი'.

Table with columns for time, program name, and ratings. Includes programs like 'პორტუგალია I დივზიონი', 'საბერძნეთი', and 'ტურქეთი'.

Table with columns for time, program name, and ratings. Includes programs like 'ჩეხეთი', 'სლოვაკეთი', and 'მექსიკა'.

Table titled 'რომელ ტაიმში გავა მუხი გოლი' showing program names and their corresponding I-X and X-2 ratings.

Table titled 'ზრუნ ბარეშე (ძირ ღრო)' listing program names and their I-X and X-2 ratings.

Table titled 'გოლი:უჩხილი-107 პანტი-2' listing program names and their I-X and X-2 ratings.







